სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის საფუძვლები

ნანა როსტომაშვილი

საქართველოს დავით აღმაშენებლის

სახელობის უნივერსიტეტის

სამართლის სკოლის დოქტორანტი

თბილისი

2022

სარჩევი

შესავალი 3

თავი 1 5

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა 5

1.1. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ცნება და მნიშვნელობა საქართველოში 5

1.2. შედარებით სამართლებრივი ანალიზი 13

2 თავი 17

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის საფუძვლები და მათი მიმოხილვა 17

2.1. სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის საფუძვლები 17

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264 –ე მუხლში ნაგულისხმევი სასამართლო გადაწყვეტილების სახეები: 21

2.3. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა და პრეიუდიცია 25

დასკვნა 30

გამოყენებული ლიტერატურა 33

შესავალი

მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებასა და სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტური წინაპირობაა. მართლმსაჯულების ეფექტურობა დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ, სამართლიან და დროულ სამართალწარმოებაში ჰპოვებს გამოხატულებას.[1]

სამართლებრივ სახელმწიფოში ნებისმიერ პირს ეძლევვა თავისი უფლებების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა. სასამართლო დაცვის უფლება გულისხმობს ინფორმაციის მიღებას სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელოვან გარემოებებზე, მხარეთა მიერ პოზიციის გამოხატვას და სასამართლოს მხრიდან ამ პოზიციის გათვალისწინებასა და შეფასებას, გარდა აღნიშნულისა, სასამართლო დაცვის უფლება მოიცავს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში რაც პირდაპირ კავშირშია სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის საფუძვლებთან.[2]

წინამდებარე ნაშრომში განსახილველი პრობლემის წარმოშობა განპირობებულია ქართული სასამართლოს მთავარი შემადგენელი ნაწილით, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალაში შესვლის საფუძვლებით, სასამართლო თავის საქმიანობას შეუდგება იმ პირის/პირების განცხადების საფუძველზე, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლებებისა და კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად. საქმის განხილვის შედეგი თუ იგი გაივლის დასაშვებობის ეტაპს არის გადაწყვეტილება, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება კი სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესასრულებლად. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, გარდა ამისა სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი

[1] მიტი/რიჰტერი, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013, 3
[2] Lücke: Begründungszwang, S. 53.

ურთიერთობანი.[3]

სასამართლო გადაწყვეტილება – ესაა კანონით დადგენილი წესით საქმის განხილვის შედეგად სასამართლოს მიერ მიღებული მართლმსაჯულების აქტი[4], რომლითაც საქმე არსებითად წყდება.[5] სასამართლო არ არის ერთადერთი ორგანო, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება. სასამართლო გადაწყვეტილება განსხვავდება სხვა ორგანოების გადაწყვეტილებებისაგან, პირველ რიგში იმით, რომ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანას წინ უსწრებს საქმის განხილვა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესების ზუსტად და განუხრელად დაცვით და მეორეც, სასამართლო გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს კანონს და დასაბუთებული უნდა იყოს როგორც ფაქტობრივი, ასევე სამართლებრივი თვალსაზრისით. სასამართლო გადაწყვეტილება არ შეიძლება ეფუძნებოდეს მიზანშეწონილობას, იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს კანონი, რომელიც აწესრიგებს კონკრეტულ სადავო ურთიერთობას, სასამართლომ უნდა გამოიყენოს კანონის ანალოგია და მესამე – არსებობს სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობის შემოწმების კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა – აპელაცია და კასაცია.

გადაწყვეტილების გამოტანით როგორც ვიცით მთავრდება საქმის განხილვა სასამართლოში, სასამართლოს კი რომელმაც ეს გადაწყვეტილება გამოიტანა, არ აქვს უფლება შეცვალოს იგი, ხოლო მხარეებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამ გადაწყვეტილებით შეილახა მათი ინტერესი, შეუძლიათ უარი თქვან გასაჩივრებაზე, გარდა ამისა, გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების გამოყენება არ შეიძლება დროში გაიჭიმოს უსასრულოდ და მთლიანად დამოკიდებული იყოს მხარეთა ნება სურვილზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გარკვეულ ეტაპზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება არ შეიძლება გასაჩივრდეს.

წინამდებარე ნაშრომში ვისაუბრებთ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის საფუძვლებზე, პრობლემაზე, ფორმალურ და მატერიალურ კანონიერებაზე და თვისებებზე. შევეცდებით მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ერთმანეთთან დაკავშირებით ჩამოვაყალიბოთ ერთიანი

[3] სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში; თბილისი 2020
[4] ოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, GIZ, 2003, 3
[5] ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2005, 360

მიდგომა აღნიშნული პრობლემის წარმოშობის და მისი აღმოფხვრის შესაძლო გზებთან დაკავშირებით.

თავი 1

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა

1.1. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ცნება და მნიშვნელობა საქართველოში

როგორც ვიცით, გადაწყვეტილების გამოტანით მთავრდება საქმის განხილვა სასამართლოში და ამ საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელების მთელი პროცესი. მეტიც, სასამართლოს რომელმაც აღნიშნული გადაწყვეტილება გამოიტანა უფლება არ აქვს შეცვალოს იგი, ხოლო მხარეებს რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ამ გადაწყვეტილებით შეილახა მათი ინტერესი, შეუძლიათ აგრეთვე უარი თქვან მის გასაჩივრებაზე და ნებაყოფლობით აღასრულონ გადაწყვეტილება.[6]

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა, ეს არის გადაწყვეტილების თვისება, რომელსაც იგი იძენს კანონით განსაზღვრული პირობების საფუძველზე, რის შემდეგადაც მისი გასაჩივრება დაუშვებელია.[7] ერთმანეთისაგან განასხვავებენ სასამართლო გადაწყვეტილების ფორმალურ და მატერიალურ კანონიერ ძალას.

სამოქალაქო საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილება ფორმალურად კანონიერია, თუ იგი არ შეიძლება გასაჩივრდეს. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის გამოცხადებისთანავე (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლი).[8] გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერი ძალა წარმოადგენს მატერიალური კანონიერი ძალის წინაპირობას. მატერიალური კანონიერი ძალა

[6] თ.ლილუაშვილი; სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯისია“. თბილისი 2005; გვ 370

[7] თ. ლილუაშვილი “სამოქალაქო საპროცესო სამართალი”. გამ. “ჯისიაი”. თბილისი 2005. გვ. 376

[8] საქართველოს საქმოქალაქო საპროცესო კოდექსი; 1997 წ. საკანონმდებლო მაცნე

ბოჭავს როგორც სასამართლოს, ისე მხარეებს და მათ უფლებამონაცვლეებს, შესაბამისად მათ არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე,[9] სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი[10] (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლი). მაშასადამე, გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა ვრცელდება დავის საგანსა და პროცესუალურ მოთხოვნაზე. ეს შესაძლებელია დადგინდეს აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილების საფუძველზე.

საერთო სასამართლოების მიერ[11] ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მიღებული გადაწყვეტილების კანონიერი ძალის საკითხი წესრიგდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

ხოლო სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლოს განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიიქცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის პირველი ნაწილი). განაჩენის გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას.[12]

განვიხილოთ სასამართლო გადაწყვეტილების ფორმალური და მატერიალური კანონიერი ძალა: სასამართლო გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერი ძალა გულისხმობს, რომ გადაწყვეტილება აღარ შეიძლება გასაჩივრდეს. სასამართლო გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერი ძალის საკითხი გათვალისწინებულია სსსკ-ის 264-ე მუხლით, რომლის თანახმად პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება ძალაში შედის თუ დაუშვებელია მისი
1) სააპელაციო ან საკასაციო წესით გასაჩივრება, ეს კი შესაძლებელია ორ შემთხვევაში:
ა) როდესაც რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საჩივარი არ აღემატება 2

[9] ჩიდრაშვილი კ. სამაგისტრო ნაშრომი მტკიცების ტვირთი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი 2019, გვ 5–6
[10] ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბ 2015. გვ 279
[11] ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, 2009, საკანონმდებლო მაცნე
[12] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; 2009; საკანონმდებლო მაცნე

000 ლარს და ბ)როდესაც მხარეებმა უარი თქვეს კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე.

2) თუ გასულია გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადა და ამ ვადაში არ იყო შემოტანილი საჩივარი – საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის აღდგენას, ამიტომ, საჩივარი რომელიც შეტანილია აღნიშნული ვადის დარღვევით უნდა დარჩეს განუხილველად.

3)თუ სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც განიხილა საჩივარი უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, ხოლო სააპელაციო სასამართლოს განჩინება უცვლელად დატოვების შესახებ შევიდა კანონიერ ძალაში.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის:

ა)როდესაც დაუშვებელია მისი საკასაციო წესით გასაჩივრება ბ)როდესაც დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრება, მაგრამ არ იყო გასაჩივრებული კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში.

გასაჩივრების ვადის აღდგენას კანონი არ ითვალისწინებს, ამიტომ დაგვიანებით შეტანილი საჩივარი განუხილველად უნდა დარჩეს.

3) როდესაც საკასაციო სასამართლომ არ მიიღო წარმოებაში დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივარი, ან უცვლელად დატოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება. რაც შეეხება საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ისინი კანონიერ ძალაში შედიან დაუყოვნებლივ და მათი გასაჩივრება არ დაიშვება. [13]

რაც შეეხება სასამართლო გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალას,[14] იგი გულისხმობს, რომ მხარეებს, და ასევე მათ უფლებამონაცვლეებს, რომლებსაც ეს გადაწყვეტილება ეხებათ, არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები ე.წ. „პრეიუდიციული“ ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი [15] (სსსკ-ის 266-ე მუხლი). გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალის კონკრეტული გამოვლინებაა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესი, რომლის თანახმად, სასამართლო

[13] თ.ლილუაშვილი; სამოქალაქო საპროცესო გამომცემლობა ჯისიაი, თბილისი 2005, გვ 270–275

[14] გ.ლილუაშვილი; სასამართლო გადაწყვეტილების სოციალური მნიშვნელობა,სამართალი და მსოფლიო, საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი, 2015. გვ 47

[15] დ.ი. პოლუმორდვინოვი – გადაწტვეტილების კანონიერი ძალა გვ 38; ჰ.შაკი დასახ. ნაშრომი გვ 445

არ მიიღებს სარჩელს, ან თუ შეცდომით მიიღებს – შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით[16] (სსსკ-ის 186-ე და 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

პროფესორ პოლუმორდვინოვის შეხედულებით, გადაწყვეტილების სამართლებრივი მოქმედება, რაც გამოიხატება მისი საბოლოობით იმ პროცესში, რომელშიც იგი არის გამოტანილი – არის გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერი ძალა. ხოლო გადაწყვეტილების სამართლებრივი მოქმედება, რომლის ძალით იგი იძენს საბოლოო ხასიათს არამარტო იმ პროცესისთვის, რომლის შედეგად იქნა გამოტანილი, არამედ მის ფარგლებს გარეთაც– არის გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა. იგივე მოსაზრებას იზიარებს გერმანელი იურისტი პროფესორი ჰ. შაკი, მისი აზრით ფორმალური კანონიერი ძალა წარმოადგენს დავის დამთავრებას ამ სასამართლო განხილვისთვის, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა იცავს მიღებულ შედეგს ხელყოფისაგან.

ფორმალური კანონიერი ძალა წარმოადგენს გადაწყვეტილების მეორე თვისების მატერიალური კანონიერი ძალის საფუძველს, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღიარების პროცესში.[17] გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალის საფუძველზე შემდგომში არც სასამართლოს და არც მხარეებს აღარ შეუძლიათ სადავო გახადონ სხვა სასამართლო პროცესში ეს გადაწყვეტილება. იგი იძენს წინასწარგადამწყვეტ, პრეიუდიციალურ მნიშვნელობას.[18] მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე[19] მუხლი, რომლის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და მათ უფლებამონაცვლეებს, არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძვლით, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობები.

---

[16] გაგუა ი. მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი - 2013, გვ 16

[17] ბ.ლილუაშვილი, სადოქტორო ნაშრომი თემაზე: „ უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება საქართველოში“

[18] თ. ლილუაშვილი “სამოქალაქო საპროცესო სამართალი”. გამ. “ჯისიაი”. თბილისი 2005. გვ. 376 –378.

[19]იხ. 266–ე მუხლის კომენტარი

მატერიალური ძალა გადაწყვეტილებას იცავს შემდგომში სხვა სასამართლო პროცესისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფორმალური კანონიერი ძალა იცავს სასამართლო გადაწყვეტილების გადახედვას და შეცვლას გასაჩივრების შედეგად იმ სამართალწარმოებისას, როდესაც იგი იქნა გამოტანილი, ხოლო მატერიალური კანონიერი ძალა იცავს მას ზოგადად ნებისმიერი სხვა სასამართლო პროცესისაგან.

გადაწყვეტილება მატერიალურ კანონიერ ძალას იძენს იმ ომენტიდან, როდესაც იგი შევიდა ფორმალურ კანონიერ ძალაში. ანუ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს უკანასკნელი წარმოადგენს მატერიალური კანონიერი ძალის საფუძველს.

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლები ვრცელდება ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, რომელიც შეიცავს სასამართლოს დასკვნას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი ფაქტების არსებობა-არარსებობის შესახებ, როგორც სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საფუძველი და მასთან ორგანულად დაკავშირებული, არ შეიძლება ამ სარეზოლუციო ნაწილისაგან მოწყვეტით და მისგან დამოუკიდებლად გასაჩივრდეს. რაც შეეხება გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს[20], რომელიც წარმოადგენს ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ფუნდამენტს და რომელშიც აისახება ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი ურთიერთობები, რომლებიც სასამართლომ დადგენილად ცნო და რომლებიც სამართლებრივი შეფასების შედეგად საფუძვლად დაედო სარეზოლუციო ნაწილს, იგი არ წარმოადგენს კანონიერი ძალის ობიექტს, მასზე არ ვრცელდება კანონიერი ძალა, ასეთი შეხედულება ასევე ემყარება გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობას და ფართოდაა გავრცელებული გერმანიის საპროცესო სამართლის თეორიაში.[21]

საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა[22] და ამჟამად საქართველოს 1997 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსმა გადაწყვეტილების

---

[20] მზია თოდუა, ზურაბ ძლიერიშვილი, დიანა ბერეკაშვილი,
თამარ ხაჟომია, მაია ბაქრაძე, თემურ თოდრია, სიმონ ჩხაიძე,
ნუნუ კვანტალიანი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020
გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე
lawlibrary.info/g

[21] იხ. Rosenberg, Schwab, Gottvald, Zivilprozessrecht, 1993, s, 926; furcelze 1

[22] სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1964 წ

კანონიერი ძალა გაავრცელა არამარტო გადაწყვეტილების სარეზულოციო ნაწილზე, არამედ მის სამოტივაციო ნაწილზეც, კერძოდ სსკ–ის 266 –ე მუხლის თანახმად გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლეებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები, იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში მონაწილე გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი. [23] 106–ე მუხლის თანახმად კი დამტკიცებას არ საჭიროებს ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. შესაბამისად ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი, რომლითაც დადგენილია ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც ასევე საფუძვლად უდევს სარეზოლუციო ნაწილს, შედის კანონიერ ძალაში. კანონიერ ძალაში შედის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად ასაბუთებენ, ამართლებენ სარეზოლუციო ნაწილს.[24] აღნიშნულიდან გამომდინარე სწორი იქნება თუ ვიკითხავთ, შეუძლია თუ არა მხარეს გაასაჩივროს გადაწყვეტილების მხოლოდ სამოტივაციო ნაწილი ამ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილისაგან დამოუკიდებლად? ანუ ისე რომ არ მოითხოვოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შეცვლა? გამომდინარე იქედან, რომ სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობება დადგენილად ჩაითვლება სხვა საქმეზეც და სხვა პროცესში, მხარეს რომლისთვისაც ხელსაყრელია გადაწყვეტილების საეზოლუციო ნაწილი, მაგრამ არ ეთანხმება გადაწყვეტილების მოტივს, უნდა შეეძლოს სამოტივაციო ნაწილის გასაჩივრება და მისი გაუქმების ან/და შეცვლის მოთხოვნა, იმგვარად რომ სარეზოლუციო ნაწილი უცვლელი დარჩეს, თუმცა არსებითად ამის გაკეთება შეუძლებელია ვინაიდან გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი დაკავშირებულია სამოტივაციო ნაწილთან და იმ შემთხვევაში თუ სამოტივაციო ნაწილს მოვწყვეტთ სარეზოლუციო ნაწილს, იგი დარჩება დაუსაბუთებელი. ყოველივე აქედან გამომდინარე შეგვიძლია

[23] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 1997
[24] იხ. ვ.ხრუსტალი დასახ. ნაშრომი გვ 12

ვთქვათ, რომ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის ობიექტური ფარგლები ვრცელდება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, რომელიც თავისმხრივ შეიცავს სასამართლო დასკვნას სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან მასზე უარის თქმის შესახებ, ასევე სასამართლოს მიერ დადგენილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და ფაქტებზე, რომლებიც საფუძვლად დაედო სარეზოლუციო ნაწილს. [25]

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალის სუბიექტური ფარგლები გულისხმობს იმ პირთა წრის განსაზღვრას, რომლებზედაც ვრცელდება გადაწყვეტილების კანონიერი ძალა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მხარეებზე, აგრეთვე მესამე პირებზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. ფაქტების დადგენის ნაწილში სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება მესამე პირზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, თუ ის მონაწილეობდა საქმის განხილვაში. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება უფლებამონაცვლეზეც სსსკ-ის 266-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მნიშვნელოვან დათქმას იმის შესახებ, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია საპროცესო კანონმდებლობით (სსსკ-ის 265-ე მუხლი).

აღსანიშნავია რომ, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40–იანი წლების ბოლოს[26] პროფ. პოლუმორდვინოვმა თავის სადოქტორო დისერტაციაში დაასაბუთა მოსაზრება, რომ სასამართლო დავაში მონაწილეობა უნდა ვცნოთ ისეთ აუცილებელ პირობად, რომლის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს იმ პირთა წრე, რომლებზეც ვრცელდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების მოქმედება და რომ საწინააღმდეგო მოსაზრება იქნებოდა დიდი უსამართლობა, რამდენადაც გადაწყვეტილების კანონიერი ძალა გავრცელდებოდა ისეთ პირებზე, რომლებიც არ მონაწილეობდნენ პროცესში, რომლებმაც შეიძლება არც კი იცოდნენ ამ

[25] თენგიზ ლილუაშვილი. ვალერი ხრუსტალი. „ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“ გამომცემლობა „სანი“ 2004 წ.

[26] თ.ლილუაშვილი; სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მე–2 გამოცემა, თბილისი 2005; გვ 278

გადაწყვეტილების შესახებ[27] , აღნიშნულმა თავისი გავლენა მოახდინა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღება ერთ–ერთი მხარის დაუსწრებლად, რომელსაც არ მიუღია კანონით დადგენილი წესით შეტყობინება, სააპელაციო წესით გაუქმების აბსოლიტურ საფუძველს წარმოადგენს. შესაბამისად, საქმის განხილვაში მონაწილეობა წარმოადგენს მხარეებზე და მესამე პირებზე დამოუკიდებელი მოთხოვნით გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედების გავრცელების სავალდებულო პირობას.

გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გაგრძელების ან აღდგენის შესაძლებლობას (სსსკ-ის 59-ე მუხლის 4-ე ნაწილი). [28]შესაბამისად, გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. გადაწყვეტილების კანონიერი ძალის მოქმედება შეწყდება საქმის წარმოების განახლების შემთხვევაში. ამას ადგილი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები (სსსკ-ის 421-ემუხლი).

[27] დ.ი. პოლუმორდვინოვი დასახელებული ნაშრომი , გვ 139–140

[28] ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მერიდიანი 2015წ; გვ 240

1.2. შედარებით სამართლებრივი ანალიზი

შედარებისათვის განვიხილოთ გადაწყვეტილების კანონიერი ძალა გერმანიაში,[29] სასამართლო გადაწყვეტილებებს გერმანიაში მხოლოდ იმ შემთხვევაში ენიჭებათ კანონიერი ძალა მონაწილეთათვის მათი გამოცხადებით ან, შესაბამისად, უწყების ჩაბარებით ან სხვაგვარად შეტყობინებით, როდესაც გადაწყვეტილების გასაჩივრება თავიდანვე დაუშვებელია, გასაჩივრების შეუძლებლობა (Unstatthaftigkeit)[30] ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება კანონის ძალით არ ექვემდებარება გასაჩივრებას, ანუ იმას, რომ მისი გასაჩივრების შესაძლებლობა მოსამართლეზე და მის რაიმე სახის შეფასებაზე თუ გადაწყვეტილებაზე არ არის დამოკიდებული, ამ შემთხვევაში გასაჩივრების შეუძლებლობასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას იმის გამო, რომ გასაჩივრების საშუალება დაშვებული არ არის, ან მისი დასაშვებობა (Zulässigkeit)[31] საჩივრის თანხაზეა დამოკიდებული, რომელიც გარკვეულ დადგენილ ოდენობას უნდა აღემატებოდეს. იმის გამო, რომ დაშვების ან საჩივრის თანხის ოდენობის განსაზღვრის გადაწყვეტილებაც სამოსამართლეო მართლმსაჯულების აქტია[32] ამიტომ, ასეთი გადაწყვეტილებების შემთხვევაშიც, ფორმალური კანონიერი ძალა მათ მაშინ ენიჭებათ, როდესაც უკვე გასულია გასაჩივრების ვადა და ამ ვადის განმავლობაში საჩივარი არ შეუტანია მხარეს;[33] ან/და პირმა უარი განაცხადა გასაჩივრებაზე ან გასაჩივრების საშუალების თაობაზე და თავის მხრივ, ფორმალურად სამართლებრივად ნამდვილად იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება. თუ გადაწყვეტილების საგანი რამდენიმე საპროცესო მოთხოვნაა, მაშინ დავის ერთ საგანთან დაკავშირებით გამოყენებული გასაჩივრების საშუალება მთელი გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერი ძალის ამოქმედებას აჩერებს, თუ მოსარჩელე, რომელსაც გადახდის შესახებ სარჩელის ან აღიარებითი სარჩელის დაკმაყოფილებაზე წინა ინსტანციაში მთლიანად უარი ეთქვა და ამჯერად უარს

[29] А.Жалинский. А Рерихт . введение в немецкое право 538-541
[30] გერმანიის სამოქალაქო საპროცესო სამართალი 2005, გვ455
[31] Кейлин А. Д, Судоустройство и Грждaнский Процесс Капиталистических Государств, М, 1950, 248, 249
[32] BGH, Beschluss vom 06.08.2008 - XII ZB 25/07 - BGHZ 178, 47; GmS, Beschluss vom 24.10.1983 - GmS-OGB 1/83 - BGHZ 88, 353
[33] Code de Procedure Civilie. Centrime Edition. avec le concours de Isabelle Despres. Laurent Darget. Redacteur aux Editions Dalloz. 2009, Art. 322

მხოლოდ გადახდის შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებაზე ასაჩივრებს, მაშინ მას გასაჩივრების საშუალების პროცედურისას, ყოველ შემთხვევაში ფორმალური კანონიერი ძალის ასპექტები, ხელს არ შეუშლის წინა ინსტანციაში აღიარებითი სარჩელით გათვალისწინებული მოთხოვნის უკვე გადახდის შესახებ განაცხადთან ერთად განხორციელებაში.[34]

სასამართლოს წინაშე გაკეთებული განცხადებით, იურიდიულად ნამდვილი უარი სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე, შესაბამისი გადაწყვეტილების ფორმალურ კანონიერ ძალაში შესვლას იწვევს[35] და თანამდებობიდან გამომდინარე (ex officio) უნდა იქნეს გათვალისწინებული თუ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე ყველა მხარის უარი - რაც შესაძლებელია უკვე გადაწყვეტილების გამოტანამდე წინასწარ იქნა იურიდიულად ნამდვილად განცხადებული, მაშინ გადაწყვეტილება კანონიერ ძალას მისი გამოტანისთანავე იძენს თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე უარი მხოლოდ ცალსახა განცხადების საფუძველზე, შეიძლება, ვივარაუდოთ ამიტომ, შეტყობინებიდან გასაჩივრების საშუალებების შეზღუდული განაცხადების თაობაზე, თავისთავად არ უნდა დავასკვნათ, რომ ზოგადად ითქვა უარი გასაჩივრების საშუალებაზე.

უმაღლესი ფედერალური სასამართლოს მიერ გამოცხადებული გადაწყვეტილებების გარდა, ის გადაწყვეტილებები, რომლებიც გასაჩივრების საშუალებების გამოყენებით გასაჩივრებას არ ექვემდებარება, ფორმალურ კანონიერ ძალას მათი გამოტანისთანავე არ იძენს, არამედ მხოლოდ მხარეთათვის მათი ჩაბარების შემდეგ.[36] თუ იურიდიულად ნამდვილი ჩაბარება არ განხორციელებულა, მაშინ გასაჩივრების საშუალებებისთვის დადგენილი ვადის დენა არ იწყება და შესაბამისად, გადაწყვეტილებაც ფორმალურ კანონიერ ძალას ჯერ ვერ შეიძენს.

რაც შეეხება საფრანგეთში[37] – სასამართლო დადგენილებათა მცნებასა და მათ კლასიფიკაციას, ფრანგულ სამოქალაქო საპროცესო სამართალში,[38] სასამართლო

[34] Steven Baicker-Mckee, William M. Janssen, Jon B. Corr, A Student's guide to the Federal Rules of Civil Procedura, St. Paul, Minn, 1997, 134

[35] (BGH, Beschluss vom 24.10.2017 - X ARZ 326/17 - NJW-RR 2018, 250; BGH, Beschluss vom 04.07.1988 - II ZR 334/87 NJW 1989, 170)

[36] Zollner W, loritz K-G. Abreitsrecht 5. Aufl.-Munchen: C.H. beck, 1998 S

[37] Гражданский процесс зарубежных странб Москва 2011 351-355

დადგენილების მცნებაში მოიაზრება სასამართლოს ნებისმიერი დადგენილება - როგორც საქმის არსებითად გადამწყვეტი, ასევე გამოტანილი ნებისმიერ პროცესუალურ საკითხზე. საფრანგეთის სსსკ-ი (თავი XIV) [39]ჰყოფს სასამართლო დადგენილებებს ორ ნაწილად: საქმის არსებითად გადამწყვეტი და ყველა დანარჩენი.

დადგენილება ითვლება საქმის არსებითად გადამწყვეტად, როცა იგი დავას წყვეტს სრულად ან ნაწილობრივ ან როდესაც მისი ძალით ხდება საქმის წარმოების შეწყვეტა. ასეთ დადგენილებას გააჩნია კანონიერი ძალა - „სასამართლოს დადგენილების ავტორიტეტი“, რომელიც გასაჩივრების შედეგად იტოვებს ძალას მის გაუქმებამდე.

სასამართლო დადგენილებები არსებით საკითხებზე გამოიტანება მცირე ან/და მაღალი ინსტანციების სასამართლოს, ასევე კომერციული სასამართლოს მიერ. ამავდროულად, სოციალურ და მიწასთან დაკავშირებულ დავებზე სასამართლოს არსებითი დადგენილებები გამოიტანება გადაწყვეტილებათა სახით.

სხვა დადგენილებებით, საქმეებზე მიიღება არსებითი საკითხების გადაჭრის მიზნით ისეთ შუამდგომლობებზე, რომლებიც გულისხმობენ უდავო წარმოებას ან ვადიან ინტერესებს. ასევე დადგენილებები იყოფა შეჯიბრებითობით და არაშეჯიბრებითობით კატეგორიებად.

სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების დადგენილებებს განჩინება ეწოდება.

ადმინისტრაციული იუსტიციის ფარგლებში მიმდინარე[40] განსაკუთრებული წარმოების სასამართლო აქტები არაიურისდიქციულ აქტებად ითვლება. ამგვარ საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებს არ გააჩნიათ კანონიერი ძალის თანმდევი მცნება. მოსამართლეს გააჩნია უფლება საკუთარი ინიციატივით გადასინჯოს გამოტანილი გადაწყვეტილება; ამასთან, გარდა გასაჩივრების შესაძლებლობის საერთო წესით, ამგვარ გადაწყვეტილებებზე შეიძლება აღიძრას სარჩელი მისი ბათილად ცნობის თაობაზე.

---

[38] Mary Kay Kane, Civil Procedure In a Nutshell, Third Adition, St. Paul, Minn, 1991, 174

[39] საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მე–14 თავი

[40] Гражданский процесс зарубежных странб Москва 2011; 358

სასამართლო დადგენილების იურისდიქციული აქტების კატეგორიის მიკუთვნებისთვის აუცილებელია, რომ იგი აკმაყოფილებდეს ფორმალურ და მატერიალურ მოთხოვნებს.

ფორმალური (ე.ი. გარეგანი) მოთხოვნა გამოიხატება შემდეგში: სახეზე უნდა იყოს დადგენილების გამომტანი ორგანო, გამოყენებული პროცედურა და პროცესუალურ-სამართლებრივი ფორმა.

მატერიალური (ე.ი. შინაგანი) მოთხოვნა გამოიხატება შემდეგში: სახეზე უნდა იყოს დადგენილების გამოტანის მიზანი; ანუ: რამდენად შეესაბამება იგი კანონს.

შესაბამისად, იურისდიქციული აქტი არის მოსამართლის მიერ სპეციალური ფორმის ჩარჩოებში გამოტანილი სამართლებრივი აქტი, რომელიც უზრუნველყოფს შეჯიბრებითობის საფუძვლებზე საკანონმდებლო ნორმების გამოყენებას ინტერესთა კონფლიქტის გადაჭრის მიზნით.

სასამართლო დადგენილებათა გაუქმების საფუძვლებიდან გამომდინარე, დადგენილება აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს, რომელთაგან წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება კანონიერების პრინციპს. აღნიშნულ პრინციპის დაცვაში მოიაზრება კანონის სწორი გამოყენება, კერძოდ: სამართალურთიერთობისადმი კანონის იმ ადექვატურ და რელევანტურ ნორმათა მისადაგება, რომელიც გახდა სასამართლო განხილვის საგანი. ამასთან, საფრანგეთის[41] სამოქალაქო კოდექსის მე-4 მუხლი ანიჭებს მოსამართლეს გამოიყენოს როგორც სამართლის, ასევე კანონის ანალოგია.

კოდევ ერთ პრინციპს წარმოადგენს საპროცესო სამართლით დადგენილი ჩარჩო-ნორმების და მხრეთა შეჯიბრებითობის მკაცრი დაცვა. ამის გარდა, დადგენილება უნდა იყოს ამომწურავად დასაბუთებული და, ასევე, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სხვა დადგენილებაში ასახული ფაქტების ინტერპრეტაციას. ეს უკანასკნელი ართმევს სასამართლო დადგენილებას აღსრულებადობის პრეზუმფციას.[42]

დასახელებული პრინციპების დაცვით გამოტანილი სასამართლო დადგენილება გამორიცხავს მხარეთა უფლებას, განმეორებით მიმართონ სასამართლოს დავის იგივე საგანზე. თუმცა, აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომელთა

[41] Гражданский процесс зарубежных странб Москва 2011; 355

[42] საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი; მე–14 თავი

უფლებებს ლახავს სასამართლო დადგენილება და რომლებიც, ამა თუ იმ მოტივით, არ იყვნენ მოწვეულნი დავის განხილვაში.

2 თავი

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის საფუძვლები და მათი მიმოხილვა

2.1. სასამართლო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის საფუძვლები

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის საფუძვლები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264- ე მუხლის თანახმად:[43] 1.პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში: ა) გამოცხადებისთანავე, თუ დაუშვებელია სააპელაციო წესით გასაჩივრება; ბ) სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული; გ) სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა; დ) თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე;[44]

2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება, თუ იგი არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო თუ იყო გასაჩივრებული - საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება არ გაუქმებულა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში ასევე შედის, თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე.

[43] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997, საკანონმდებლო მაცნე

[44] ქურდაძე შ. სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოი, გამომცემლობა მერიდიანი, თბ 2005, გვ 340

3.საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება/განჩინება კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

უპრიანი იქნება თუ თანმიმდევრულად განვიხილავთ გადაწყვეტილების კანონიერი ძალის საფუძვლებსა და მის თვისებებს. უპირველეს ყოვლისა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან სასამართლო გადაწყვეტილება და განჩინება.[45] სასამართლო გადაწყვეტილება არის შესასრულებლად სავალდებულო სასამართლო დადგენილება რომლითაც საქმე არსებითად წყდება. განჩინება კი არის სასამართლოს დადგენილება რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება.[46] მაგალითად: განჩინება საქმის განუხილველად დატოვების შესახებ. საქმე არსებითად წყდება, როდესაც გადაწყვეტილება სარჩელში მოცემულ მოთხოვნას შეეხება. [47]

კვლევამ ცხადყო, რომ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის საფუძვლებთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული სახის პრობლემები, კერძოდ კი საქართველოს სამოქალაქო[48] საპროცესო კოდექსის 379–ე მუხლი გულისხმობს შეგებებული სააპელაციო საჩივრის შეტანას, რაც იმას ნიშნავს, რომ შეგებებული სააპელაციო საჩივარი შეუძლია წარადგინოს მოწინააღმდეგე მხარემ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მას უარი აქვს ნათქვამი გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე. შეგებებული სააპელაციო საჩივრით აპელანტის მოწინააღმდეგე მხარე მოითხოვს გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომელიც აპელანტის სასარგებლოდაა გამოტანილი და, მაშასადამე, აპელანტის მიერ არაა გასაჩივრებული, ხოლო 264–ე მუხლი ამბობს, რომ, იმ შემთხვევაში თუ პირი უარს იტყვის გასაჩივრებაზე გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. მიუხედავად იმისა, რომ პირმა უარი თქვა გასაჩივრებაზე, კანონი იძლევა შესაძლებლობას შეტანილ იქნას შეგებებული სააპელაციო საჩივარი. აღნიშნული მუხლების ურთიერთწინააღმდეგობა მდგომარეობს შემდეგში: თუ პირი უარს იტყვის გასაჩივრებაზე, გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში, ხოლო თუ

---

[45] იხ. ლილუაშვილი თ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯისიაი“თბ, 2005, გვ 156

[46] თენგიზ ლილუაშვილი. ვალერი ხრუსტალი. „ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“ გამომცემლობა „სანი“ 2004 წ. გვ317

[47] სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარები, ავტორთა კრებული–რჩეული მუხლები, ქ. თბ 2020. გვ 412

[48] ქურდაძე შ, ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი „მერიდიანი“ თბ 2015წ, გვ278

გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული შეუძლებელი იქნება მისი გასაჩივრება. შეგებებული სააპელაციო საჩივარი სხვა არაფერია თუ არა სააპელაციო საჩივარი, სააპელაციო საჩივრის შეტანა კი დაუშვებელია კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე.[49]

ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 365–ე და 379–ე მუხლებიც ერთმანეთის წინააღმდეგობაში მოდის, კერძოდ: 365–ე მუხლი გულისხმობს სააპელაციო საჩივრის ღირებულებას, რაც იმას ნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივარი ქონებრივ-სამართლებრივ დავაში დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ დავის საგნის ღირებულება აღემატება 2 000 ლარს. ეს ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ გასაჩივრებული გადაწყვეტილების რა ზომით შეცვლაზე შეაქვს საჩივარი მხარეს, იმ შემთხვევაში, როდესაც სასარჩელო მოთხოვნა განისაზღვრება ფულადი თანხით, რომელიც არ აღემატება 2000 ლარს, მაშინ ცხადია, რომ სააპელაციო საჩივარი არ შეიძლება აღემატებოდეს ამ თანხას და იგი დაუშვებელია.

365–ე მუხლის არსებობის პირობებში შესაძლოა შეგებებული სააპელაციო საჩივრით ვერ ისარგებლოს ერთმა მხარემ, რაც მის უფლებებს ლახავს, მეორე მხარის მიერ სააპელაციო საჩივირს შეტანის შემთხვევაში. მაგალითად: თუკი მოსარჩელე მოპასუხისაგან პირველ ინსტანციაში მოითხოვდა 7 000 ლარის გადახდას და ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოთხოვნა და მოპასუხეს დაეკისრა 2 000 ლარის გადახდა, გამოდის რომ მოპასუხეს არ ექნება არც აპელაციისა და არც შეგებებული აპელაციის უფლება, მაშინ როცა მოსარჩელეს შეუძლია დაუკმაყოფილებელ ნაწილზე შეიტანოს სააპელაციო საჩივარი.

აღნიშნული დანაწესი არღვევს თანასწორობის პრინციპს და ლახავს პირთა უფლებებს. აგრეთვე 366-ე მუხლი მიუთითებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრების დაუშვებლობაზე. სააპელაციო წესით[50] არ შეიძლება გასაჩივრდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს პირველი დაუსწრებელი

[49] თ.ლილუაშვილი,გ.ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი, ზ.ძლიერიშვილი– სამოქალაქო საპროცესო სამართალი 1 ნაწილი,გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2014წ, გვ 247

[50] ბოელინგი ჰ. ჭანტურია ლ. სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, გამომცემლობა „ჯისიაი“ თბ 2004, გვ 90

გადაწყვეტილება. საჩივარს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების თაობაზე განიხილავს ამ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო.[51]

რაც შეეხება სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლას ეს გათვალისწინებულია სკ-ით და წარმოადგენს 14 დღეს რომლის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება 70-ე - 78 - ე მუხლების ან 259 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. [52]

 რისთვისაა სავალდებულო გადაწყვეტილება შვიდეს კანონიერ ძალაში? – რა თქმა უნდა ეს არის იმისათვის საჭირო რომ მოხდეს აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულება, მანამ სანამ მეორე მხარეს აქვს კანონით მინიჭებული უფლებამოსილება გაასაჩივროს აღნიშნული გადაწყვეტილება მისი აღსრულება ვერ მოხერხდება, თუმცა აქაც არის რიგი გამონაკლისები მაგალითად დაუყოვნებლივ აღსასრულებელი გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებებს. თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში. მართალია ეს დათქმა არ გამნორიცხავს შემდგომში მხარეების მიმართვას სასამართლოსთვის გასაჩივრების სურვილით, თუმცა ეს ვერ იმოქმედებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაზე, ვინაიდან ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო დასაშვებობის ეტაპზე დაუშვებლად ცნობს სარჩელს. იგივე წესი მოქმედებს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე თუ მხარეები წერილობით განაცხადებენ უარს მის საკსაციო წესით გასაჩივრებაზე, ხოლო საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის მისი გამოცხადებისთანავე.[53]

---

[51] კობახიძე ა. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“ თბ 2003 წ. გვ 2015;

[52] თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეეცნიერო შრომეის კრებული. თბილისი 2010. ქურდაძე შ. გვ 221

[53] სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში, გერმანიის თანამშრომლობა, თბილისი 2020, გვ 11–12

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264 –ე მუხლში ნაგულისხმევი სასამართლო გადაწყვეტილების სახეები:

სასამართლო გადაწყვეტილებათა სახეებად დაყოფა სხვადასხვა ნიშნის მიხედვით ხდება. სასარჩელო მოთხოვნის შინაარსის მიხედვით განასხვავებენ: ა) მიკუთვნებით (აღსრულებითი); ბ) აღიარებით და გ) გარდაქმნით გადაწყვეტილებებს.[54]

იმის მიხედვით, თუ რა მოცულობით არის გადაწყვეტილი სასარჩელო მოთხოვნა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა განასხვავებს გადაწყვეტილებათა ისეთ სახეებს, როგორიცაა:

1.სრული (საბოლოო) გადაწყვეტილება;
2.ერთობლივი გადაწყვეტილება;
3.ნაწილობრივი გადაწყვეტილება;
4. წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება,
5.დამატებითი გადაწყვეტილება;
6. დაუსწრებელი გადაწყვეტილება.[55]

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. სრული (საბოლოო) გადაწყვეტილება ეწოდება ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც მართალია, შესაძლოა ჯერ არ იყოს შესული კანონიერ ძალაში (მაშასადამე, დასაშვები იყოს მისი გასაჩივრება), მაგრამ მასში არსებითად ნამსჯელია და შეიცავს პასუხს მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნაზე, ანუ სასარჩელო მოთხოვნაზე მიღებულია არსებითი გადაწყვეტილება (სსსკ-ის 243-ე მუხლი).[56]

2. ერთობლივი გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს პირვანდელი და შეგებებული სარჩელების ერთად განხილვის შედეგად, გარდა სსსკ-ის 245-ე მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევებისა (სსსკ-ის 189-ე მუხლის 3-ე ნაწილი).

---

[54] სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში, თბილისი 2020, გვ7
[55] ოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, GIZ, 2003, 70-77
[56] სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში, გერმანიის თანამშრომლობა, თბილისი 2020, გვ 8–10

3. ნაწილობრივი გადაწყვეტილება სასამართლომ მხარეთა თხოვნით შეიძლება გამოიტანოს იმ შემთხვევაში, თუ ერთ სარჩელში გაერთი ანებული რამდენიმე მოთხოვნიდან, აგრეთვე რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის მიმართ წარდგენილი მოთხოვნე ბიდან ერთ-ერთი გარკვეული და მომზადებულია გადაწყვეტილების გამოსატანად. დაინტერესებული მხარის თხოვნით, ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანა სასამართლოს შეუძლია იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღძრული იყო შეგებებული სარჩელი, გარკვეულია და გადაწყვეტილების გამოსატანად მომზადებულია ან თავდაპირველი, ან შეგებებული სარჩელი (სსსკ-ის 245-ე მუხლი). [57]მაშასადამე, ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანა დასაშვებია სარჩელების ობიექტური გაერთიანების (სსსკ-ის 182-ე მუხლი), სუბიექტური გაერთიანების (სსსკ-ის 86-ე მუხლი) და შეგებებული სარჩელის აღძვრის შემთხვევაში (სსსკ-ის 188-ე მუხლი).

4. თუ სადავოა სასარჩელო მოთხოვნის როგორც ფაქტობრივი საფუძველი, ასევე ამ მოთხოვნის მოცულობა (ოდენობა), სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლების შესახებ. ასეთი წინასწარი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აპელაციის წესით. კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მას ექნება პრეიუდიციული ძალა სასამართლოს მეორე გადაწყვეტილებისათვის, რომელიც მოთხოვნის მოცულობას განსაზღვრავს (სსსკ-ის 246-ე მუხლი).

5.გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 7 დღის განმავლობაში (ამ ვადის გაგძელება დაუშვებელია), შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ: ა) იმ მოთხოვნის გამო, რომლის შესახებაც მხარეებმა წარადგინეს მტკიცებულებანი და მისცეს ახსნა-განმარტებანი, გადაწყვეტილება არ გამოტანილა; ბ) სასამართლოს, რომელმაც გადაწყვიტა უფლების საკითხი, არ მიუთითებია გადასახდელი თანხის ოდენობა, გადასაცემი ქონება ან მოქმედება, რომელიც მოპასუხემ უნდა შეასრულოს; გ) სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი (სსსკ-ის 261-ე მუხლი).

[57] სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში, გერმანიის თანამშრომლობა, თბილისი 2020, გვ 10

6. დაუსწრებელი გადაწყვეტილება – ესაა გამოუცხადებელი მხარის წინააღმდეგ ან შესაგებლის წარუდგენლობის შემთხვევაში გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელიც, როგორც წესი, მხოლოდ ემყარება სასამართლოს სხდომაზე ერთ-ერთი მხარის (მოსარჩელე ან მოპასუხე) არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობას და შესაგებლის არასაპატიო მიზეზით წარუდგენლობას. შესაბამისად, დაუსწრებელ გადაწყვეტილებას მართალია, სტრუქტურულად არ გააჩნია სამოტივაციო ნაწილი, მაგრამ ის მაინც შეიცავს მოკლე დასაბუთებას მოსარჩელის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას დაცული უნდა იქნეს სსსკ-ის 229-ე მუხლის, ხოლო მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას კი – სსსკ-ის 230-ე მუხლის მოთხოვნები.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობებია (სსსკ-ის 233-ე მუხლი):

ა) გამოუცხადებელი მხარე კანონით დადგენილი წესით მოწვეული იყო საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად;

ბ) ადგილი არა აქვს დაუძლეველ ძალას ან სხვა ისეთ მოვლენებს, რომლებსაც შეეძლოთ ხელი შეეშალათ მხარის სასამართლოში დროულად გამოცხადები სათვის;

გ) გამოუცხადებელ მხარეს დროულად ეცნობა საქმის ფაქტობრივი გარემოებები;

დ) არსებობს სარჩელის აღძვრის ყველა წინაპირობა და სარჩელი სწორად არის წარმოებაში მიღებული. გამოუცხადებლად ითვლება აგრეთვე მხარე, რომელიც მართალია გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე, მაგრამ უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში (სსსკ-ის 232-ე მუხლი), ან რომელმაც მოსამართლის გაფრთხილების მიუხედავად, თვითნებურად მიატოვა სასამართლოს სხდომა (სსსკ-ის 212-ე მუხლის 2-ენაწილი).[58]

რაც შეეხება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებათა კანონიერ ძალაში შესვლის პირობებსა და წესს.

1. პირველი ინსტანციის სასამართლოთა გადაწყვეტილებები კანონიერ ძალაში შედის:

ა) როდესაც მხარეებმა ანუ გასაჩივრებაზე უფლებამოსილმა ყველა პირმა უარი თქვეს კანონით დადგენილი წესით გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე (250-ე და 370-ე მუხლები). ბ) თუ დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გასაჩივრება,

[58] თენგიზ ლილუაშვილი. ვალერი ხრუსტალი. „ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“ გამომცემლობა „სანი“ 2004 წ. გვ 466

მაგრამ იგი არ იყო გასაჩივრებული კანონით დადგენილ 14 დღიან ვადაში (369-ე მუხლი). ასეთ შემთხვევაში გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის ამ 14 დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, ამ ვადის აღდგენა დაუშვებელია, ხოლო ვადის დარღვევით საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას. გ) თუ სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც განიხილა საჩივარი უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, მაშინ იგი კანონიერ ძალაში[59] შედის მას შემდეგ, როდესაც სააპელაციო სასამართლოს განჩინება გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ შევა კანონიერ ძალაში. დ) თუ მხარეებმა განაცხადეს უარი გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე. ასეთი უარი განცხადებული უნდა იქნეს წერილობითი ფორმით (370-ე მუხლი), მაგრამ თუ ასეთი განცხადება მხარეებმა გააკეთეს სასამართლო სხდომაზე, მაშინ იგი უნდა აისახოს ოქმში და დადასტურდეს მხარეთა ხელმოწერით. ცხადია, არაა გამორიცხული, რომ გადაწყვეტილება, რომლის გასაჩივრებაზე მხარეებმა უარი თქვეს ან, რომლის გასაჩივრების ვადა უკვე გავიდა, მაინც გაასაჩივრონ მათ. სააპელაციო სასამართლომ ასეთი საჩივარი განუხილველად უნდა დატოვოს მისი დაუშვებლობის გამო, ხოლო საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას.

2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, კანონიერ ძალაში შედის: ა) როდესაც მხარეებმა კანონით დადგენილი წესით (იხ. 370- ე მუხლი) უარი განაცხადეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) საკასაციო წესით გასაჩივრებაზე. ბ) როდესაც სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) არ იყო გასაჩივრებული კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში[60]. გ) როდესაც საკასაციო სასამართლომ, რომელმაც განიხილა საკასაციო საჩივარი უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. დ) როდესაც საკასაციო სასამართლომ გამოიტანა განჩინება `საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ“ (401-ე მუხლის პირველი ნაწილი); ე) როდესაც საკასაციო სასამართლომ გამოიტანა განჩინება საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ მისი დაუშვებლობის გამო (403-ე მუხლი).

[59] ქურდაძე შ, ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი „მერიდიანი“ თბ 2015წ, გვ 324

[60] იხ.397-ე მუხლის კომენტარი

3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები კანონიერ ძალაში შედიან დაუყოვნებლივ, მათი გამოცხადებისთანავე.

2.3. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა და პრეიუდიცია

როგორც აღინიშნა, სასამართლო გადაწყვეტილების, როგორც მართლმსაჯულების აქტის დანიშნულებაა მატერიალური სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეთა შორის დავების გადაწყვეტა.[61] გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ იგი საბოლოო, სავალდებულო და შეუქცევად ხასიათს იძენს.[62]

სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა იურიდიული წესრიგის სიმტკიცეს უზრუნველყოფს, ანუ სასამართლოს მიერ საბოლოოდ და შეუცვლელად დადასტურებული ფაქტებისა და სამართლებრივი ურთიერთობების, ასევე, მათგან გამომდინარე სუბიექტური უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების, სტაბილურობასა და მდგრადობას, შესაბამისად, სასამართლოს მიერ მათ რეალურ დაცვას. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა ორ პრინციპს უკავშირდება: პირველი ეს არის „დავა გადაწყვეტილია“ (ResJuticata), რომელიც მართლმსაჯულების ფუნდამენტური პრინციპია და ყველა სამართლებრივ სახელმწიფოში მოქმედებს და მეორე - ფაქტების პრეიუდიცია, რომელიც საერთო სამართლის (ანგლოსაქსონური) პრინციპია, თუმცა კონტინენტურ სამართლებრივ სისტემაში უფრო შეზღუდულად გამოიყენება, [63] „დავა გადაწყვეტილია“ ერთხელ უკვე განხილული სარჩელის ხელახალ განხილვას გამორიცხავს. სასამართლოს მიერ უკვე განხილულ და გადაწყვეტილ დავაზე სამართალწარმოება აღარ გაიმართება, სარჩელი აღარ მიიღება არსებითად განსახილველად სწორედ იმიტომ, რომ სასამართლომ ამ საკითხზე უკვე მიიღო საბოლოო და შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილება. მეორე პროცესუალურ-სამართლებრივი პრინციპი - პრეიუდიცია სასამართლოს მიერ ერთ საქმეზე უკვე განხილული საკითხის ხელახალ

[61] კობახიძე ა. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა საქქართველოს მაცნე, თბ 2003 გვ 198
[62] Ю,А Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве.М Wolters kluwer, 2008 г гв. 80
[63] Arthur T. von Mehren & Donald T. Trautman, Recognition of Foreign Adjudications: A Survey and a Suggested Approach, 81 HARv. L. REV. 1601, 1676 (1968) ("It follows a fortiori that the German system does not recognize any collateral estoppels effects whatsoever.")

განხილვას კრძალავს, კერძოდ, გამორიცხავს იმ ფაქტების ხელახალ დადგენას, რაც დამტკიცებულია სხვა საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის არსი სწორედ მისი „საბოლოობაა“. თავის მხრივ, საბოლოობის პრინციპი გადაწყვეტილების გასაჩივრებისა თუ გადასინჯვის, შესაბამისად, შეცვლის შეუძლებლობასა და მისი შედეგების შეუქცევადობას გულისხმობს.[64]

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების პრეიუდიციაზე საუბარია, ასევე, სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტშიც. ამ ნორმის მიხედვით, დამტკიცებას არ საჭიროებს ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. გადაწყვეტილების პრეიუდიციულობა ორმხრივ სავალდებულო აკრძალვას გულისხმობს, რომელიც კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილი და დადასტურებული ფაქტების სხვაგვარად შეფასებას უკრძალავს სასამართლოს, ხოლო საქმეში მონაწილე პირებს ამავე გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებთან და სამართლებრივ ურთიერთობებთან შედავებას, თუ სხვა საქმეში იგივე პირები ან მათი უფლებამონაცვლეები მონაწილეობენ. სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს პრეიუდიციული მნიშვნელობა აქვთ და ისინი ხელახლა აღარ უნდა დამტკიცდეს სხვა სამოქალაქო საქმის განხილვის დროს, რომელშიც იგივე მხარეები მონაწილეობენ. იგივე მხარეებში იგულისხმებიან კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებულ საქმეში მონაწილე პირები, მიუხედავად იმისა, თუ რა სტატუსით მონაწილეობენ ისინი სხვა სამოქალაქო საქმის განხილვაში, აქედან გამომდინარე, თუ ერთ-ერთი მხარე მაინც სხვა პირია, გადაწყვეტილებას პრეიუდიციული ძალა ვერ ექნება და ვერც ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები დაედება საფუძვლად სხვა საქმეზე ადრე გამოტანილ გადაწყვეტილებას. ეს იმას ნიშნავს, რომ, ასეთ შემთხვევაში იგივე ფაქტები, რაც დადგენილია სხვა საქმეზე ადრე გამოტანილი გადა წყვეტილებით,

[64] ქურდაძე შ. ხუნაშვილი ნ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბ 2015, გვ 356

ხელმეორედ უნდა დადგინდეს და დადასტურდეს.[65] საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოს დაუბრუნა იმ საფუძვლით, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლის კანონიერი ძალა, საკასაციო პალატის მითითებით, ამ კონკრეტულ დავაში მონაწილე მხარეებზე, სსსკ-ის 266-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ვერ გავრცელდებოდა. უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ გადაწყვეტილების მატერიალურ კანონიერ ძალას კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები აქვს, რომელიც გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს აზუსტებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) ვრცელდება. წინასწარ დადგენილი ძალის მქონე ფაქტებად კანონმდებელი კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს განიხილავს და მათ დასადასტურებლად მხარეს მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისგან ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ. ამდენად, პრეიუდიციული ძალის მქონედ ფაქტობრივი გარემოების მისაჩნევად, სავალდებულოა, არსებობდეს სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების სუბიექტები სხვა სამოქალაქო საქმის მხარეებად უნდა გვევლინებო დნენ. განსახილველ შემთხვევაში, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მოსარჩელე იყო საკუთრების მიმნდობი პირი, რომელიც ამ დავაში აღარ მონაწილეობს, ხოლო მოპასუხეებს განსახილველი დავის მონაწილეები წარმოადგენდნენ. აქედან გამომდინარე, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტებისა და სამართლებრივი ურთიერთობების მოცემული საქმისათვის უდავოდ მიჩნევა არასწორია.[66]

---

[65] თ. ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სანი“ 2004, გვ. 205

[66] იხ. სუსგ Nоას-508-475-2017, 12 სექტემბერი, 2017 წელი; შდრ: სუსგ Nას-827-791-2014, 13.11.2015 წ. Nას-58-56-2016, 26.02.2016წ.

სასამართლო პრაქტიკაში ხშირია შემთხვევევი,[67] როდესაც სასამართლო ფაქტის პრეიდიციალურად დადგენილად მიჩნევისათვის ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებზე[68] და უგულებელყოფილია მისი მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა, რასაც, ჩვენი აზრით, მოსდევს არასწორი დასკვნები. პროცესუალურ-სამართლებრივი კრიტერიუმები წარმოადგენს მხოლოდ ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას, რა დროსაც სასამართლო ითვალისწინებს ისეთ პროცესუალური ხასიათის გარემოებებს, როგორიცაა, მაგალითად, კანონიერ ძალაშია[69] თუ არა შესული სასამართლო გადაწყვეტილება (განჩინება), რომელიც გამოტანილია სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ საქმეზე; იგივე მხარეები მონაწილეობენ თუ არა განსახილველ საქმეში. მაგრამ ამასთან ერთად არსებობს მთელი რიგი მატერიალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებისა, რომლებიც ზემოაღნიშნულ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებთან ერთად და ქმნიან ფაქტ-საფუძვლებს.[70] ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც მატერიალურ-სამართლებრივი და პროცესუალურ-სამართლებრივი დანაწესების გამოყენება უნდა მოხდეს სისტემურად. მხოლოდ ასეთი კანონზომიერების დაცვის შემთხვევაში შეიძლება გასნახილველი ფაქტი შეფასდეს პრეიდიციალურად. თუ პრეიდიციალური ფაქტები არ საჭიროებენ მტკიცებას და, აქედან გამომდინარე, ისინი არ შედიან მტკიცების საგანში რა მნიშვნელობა შიძლება ჰქონდეს მხარის ამ ფაქტებთან მიმართებით შედავებას და მით უმეტეს, როგორ უნდა განისაზღვროს მისი ფარგლები. დიახ, პრეიდიციალური ფაქტები, როგორც პრეზუმირებული ფაქტები, არ მტკიცდება არც მოსარჩელის და არც მოპასუხის მიერ. ამ ორივე კატეგორიის ფაქტების მიმართ მხარეთა მტკიცებითი საქმიანობა არ მიმდინარეობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველივე აღნიშნული არ გამორიცხავს იმას, რომ არ ფაქტების უარყოფა შეუძლებელია. როდესაც ფაქტებზე მხარე უთითებს როგორც პრეიდიციალურად დადგენილზე, ხოლო მოწინააღმდეგე მხარე დავობს უშუალოდ ამ ფაქტებთან

[67] თოდრია თ. ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში; თბილისი 2011. გვ 168–173

[68] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2015, გვ. 277

[69] ქურდაძე შ. სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში, გამომცემლობა მერიდიანი, თბ 2005, გვ 331

[70] შ.ქურდაძე - სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში თბილისი 2006 გვ 380, გვ 264

მიმართებით, ამით ამ ფაქტების პრეიდიციალურობა ეჭვის ქვეშ არ დგება. მაგრამ, შესაძლებელია დავას იწვევდეს თვითონ ფაქტი-საფუძველი, როგორც პრეიდიციალური ფაქტის წარმოშობის წინაპირობა. ამ შემთხვევაში დავა მიმდინარეობს, მასში შემავალ, როგორც პროცესუალურ, ასევე მატერიალურ-სამართლებრივ მხარეზე. ფაქტი-საფუძვლის უარყოფა შეიძლება გამოიხატოს იმ გადაწყვეტილების გაუქმებაში (სსსკ-ის 421-ე მუხლით გათვალისწინებული საქმის წარმოების განახლების სახეების მეშვეობით), რაც წარმოადგენდა ფაქტის პრეიდიციალურად ცნობის საფუძველს.[71]

რაც შეეხება დაუსწრებელი და უდავო წარმოების შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერი ძალის თავისებურებებს: დაუსწრებელი[72] გადაწყვეტილების არსი, მნიშვნელობა, დამახასიათებელი თვისებებიც თითქმის იგივეა, რაც სასამართლო გადაწყვეტილებისა, მიუხედავად დაუსწრებელი წარმოების გამარტივებულობისა და, ასევე იმის მიუხედავად,[73] რომ კანონი უშვებს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გადასინჯვის შესაძლებლობას მისი გამომტანი სასამართლოს მიერვე.

დაუსწრებელი გადაწყვეტილებაც მართლმსაჯულების აქტია და დაუსწრებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგებიც ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივი გადაწყვეტილებისა[74]

---

[71] გაგუა ი. მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გამომცემლობა მერიდიანი, თბ 2013 , გვ 134–140

[72] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის - თავი XXVI

[73] ქურდაძე შ. სამოქალაქო სამეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში,გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ 2005. გვ 300–333

[74] შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2015, გვ. 588

დასკვნა

როგორც ზოგადად იურიდიული მეთოდიკის, ასევე კონკრეტულად სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის საფუძვლების შესახებ არცთუისე ბევრი ნაშრომია შექმნილი. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის საფუძვლები მოითხოვენ სწორ, თანმიმდევრულ განმარტებასა და მეცნიერულ დამუშავებას, ის რეკომენდაციები რომლებიც ჩვენს მიერ იქნა შემუშავებული, შესაძლოა მომავალში გამოყენებულ იქნას კანონმდებლობაში. აღნიშნული საკითხი პირდაპირ კავშირშია სასამართლოსადმი მიმართვის კონსტიტუციური უფლების განხორციელებასთან, ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც არასწორად არის გაწერილი კანონმდებლობაში ესა თუ ის საკითხი, იგი უარყოფითად აისახება პირის უფლებებზე.

მოქმედი კანონმდებლობა გარკვეულ შემთხვევებში დაუშვებლად მიიჩნევს გასაჩივრებას, იმ შემთხვევაში კი, თუ პირს არ ექნება გასაჩივრების უფლება, ერთის მხრივ შესაძლოა უკანონოდ დაირღვეს პირის როგორც მატერიალურ სამართლებრივი ისე საპროცესო უფლებები, ხოლო მეორეს მხრივ ამგვარმა დანაწესმა შეიძლება წაახალისოს სასამართლოს მიერ თავისი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. მაგალითად: საპროცეო კანონმდებლობით აკრძალულია გასაჩივრება ქონებრივ სამართლებრივ დავებში, როდესაც დავის ღირებულება არ აღემატება 2 000 ლარს, რომლის არამართებულობაც დასაბუთებული გვაქვს წინამდებარე ნაშრომში.

აქედან გამომდინარე, რთული იყო სისტემატიზებული სახით ერთ მოკლე ნაშრომში ყველაფრის სრულყოფილად თავმოყრა. ჩვენ შევეცადეთ მოკლედ განგვეხილა უმნიშვნელოვანესი საკითხები, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული საკითხის უკეთ წარმოჩენას და შესაძლო შეცდომების თავიდან აცილებას.

ზოგადად, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერი ძალა მისი სამართლებრივი მოქმედებაა, რაც იმაში ვლინდება, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ხდება უფლებებისა და მათ საფუძვლად არსებული ფაქტების არსებობის ან არარსებობის საბოლოო დადგენა. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვლინდება რიგ

სამართლებრივ თვისებებში, როგორიცაა მაგალითად, გადაწყვეტილების უდავოობა, განსაკუთრებულობა, სავალდებულოობა, აღსრულებადობა და სხვა.[75]

ნაშრომში, როგორც ანალიზის, ასევე შედარებითი მეთოდის გამოყენებით, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხილული გვაქვს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლი საფუძვლები. განვიხილეთ, მისი სახეები, საფუძვლები, თვისებები, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შეჯამებით გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც სამართალწარმოების პროცესში ბევრ კითხვას ბადებს. ვეცადეთ გაგვეცა პასუხები როგორც მეცნიერული დასაბუთების თვალსაზრისით ასევე პრაქტიკული კუთხით, თუ როგორ უფრო შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. განვიხილეთ პრეიუდიციული ფაქტები, ასევე სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის საფუძვლები და მასთან დაკავშირებული პრობლემები, ხოლო ის ძირითადი ფაქტორი თუ რისთვის არის მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა - პასუხი ცალსახაა მის აღსრულებადობასთან.

სასამართლო გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონიერი,[76] თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებული პროცესის შედეგად მიღებული, თუმცა თვითონ კანონმდებლობა ართმევს ზოგჯერ მხარეს უფლებას იყოს თანასწორი მეორე მხარესთან, რომელიც თავს იცავს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით, თუნდაც ეს იყოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების საფუძველზე მიღებული.

ჩვენი მხრიდან შემუშავებულ იქნა კარკვეული რეკომენდაციები:

1.სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264–ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების კატეგორია ფართო მნიშვნელობით უნდა განიმარტოს, მასში უნდა ვიგულისხმოთ უდავო წარმოების საქმეზე მიღებული დადგენილება, ასევე გამარტივებული წარმოების საქმეზე მიღებული სასამართლო ბრძანებაც;

[75] გ.აბუსერიძე; მართლმსაჯულება და კანონი, სასამართლო დავების განახლების თავისებურებანი გვ29

[76] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსო, 1997, საკანონმდებლო მაცნე

2. სასამართლოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების გასაჩივრება უნდა იყოს დასაშვები და შესაძლებელი;

3. სსსკ–ის 264 მუხლის 1–ლი ნაწილის „დ“პუნქტი და 379 მუხლი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან, რის გამოც საჭიროა აღნიშნულ ნორმათა გადახედვა;

4. უნდა შეიცვალოს წესი, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა დენას იწყებს გასაჩივრების მსურველი მხარის მიმართ, მიუხედავად იმისა, მიიღებს თუ არა იგი კანონით დადგენილ ვადაში დასაბუთებულ გადაწყვეტილებას. უმჯობესია შეიცვალოს გადაწყვეტილების გასაჩივრების არსებული მექანიზმი და გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყოს იმ მომენტიდან, როდესაც იგი ჩაიბარებს გადაწყვეტილებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70–78-ე მუხლებით დადგენილი წესით. ამ გზით გამოირიცხება სასამართლოს ბრალეულობით გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შესაძლებლობა და მხარის ინტერესების დარღვევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - საკანონმდებლო მაცნე, თბილისი 1997 წ. 26 ივნისი, N786IIს
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, თბილისი, 1997 წ. 14 ნოემბერი N1106- Iს
3. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1964 წ
4. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი; 2009; საკანონმდებლო მაცნე
5. ორგანული კანონი საერთო სასამართლოების შესახებ, 2009, საკანონმდებლო მაცნე
6. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი - გამომცემლობა „სიესტა“ (BGB) 2010წ
7. გერმანიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 2005
8. საფრანგეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი
9. ბ. ლილუაშვილი - „უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებათა ცნობა და არსრულება საქართველოში „ - დისერტაცია სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად (თბილისი 2009)
10. ბოელინგი ჰ. ჭანტურია ლ. სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, გამომცემლობა „ჯისიაი“ თბ 2004
11. გ.აბუსერიძე; მართლმსაჯულება და კანონი, სასამართლო დავების განახლების თავისებურებანი;
12. გ.ლილუაშვილი; სასამართლო გადაწყვეტილების სოციალური მნიშვნელობა,სამართალი და მსოფლიო, საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალი, 2015
13. გაგუა ი. მტკიცების ტვირთი სამოქალაქო საპროცესო სამართალში, გამომცემლობა „მერიდიანი“ თბილისი - 2013
14. დ.ი. პოლუმორდვინოვი – გადაწტვეტილების კანონიერი ძალა;
15. თ. ლილუაშვილი. ვალერი ხრუსტალი. „ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი“ გამომცემლობა „სანი“ 2004 წ.
16. თ.ლილუაშვილი; სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „ჯისია“. თბილისი 2005;

17. თ.ლილუაშვილი,გ.ლილუაშვილი, ვ.ხრუსტალი, ზ.ძლიერიშვილი– სამოქალაქო საპროცესო სამართალი 1 ნაწილი,გამომცემლობა სამართალი, თბილისი 2014
18. თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეეცნიერო შრომეის კრებული. თბილისი 2010. ქურდაძე შ.
19. თოდრია თ. ფაქტობრივი გარემოებების მნიშვნელობა საკასაციო სასამართლოში; თბილისი 2011
20. კობახიძე ა. სამოქალაქო საპროცესო სამართალი, გამომცემლობა საქართველოს მაცნე, თბ 2003
21. ოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, GIZ, 2003;
22. სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციებში; მზია თოდუა, ზურაბ ძლიერიშვილი, დიანა ბერეკაშვილი, თამარ ხაჟომია, მაია ბაქრაძე, თემურ თოდრია, სიმონ ჩხაიძე, ნუნუ კვანტალიანი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2020 გამოცემის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ვებგვერდზე lawlibrary.info/g.
23. მიტი/რიჰტერი, მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013;
24. შ. ქურდაძე, ნ. ხუნაშვილი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი, მეორე გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2015;
25. შ.ქურდაძე - სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტანციის სასამართლოში თბილისი 2006;
26. ქურდაძე შ., სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინისტანციის სასამართლოში, მეორე გამოცემა, თბ., 2006, მითითებულია ლილუაშვილი თ.ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2014, I ნაწილი
27. ჩიდრაშვილი კ. სამაგისტრო ნაშრომი მტკიცების ტვირთი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში, თბილისი 2019

28. Lücke: Begründungszwang, S. 53.
29. А.Жалинский. А Рерихт . введение в немецкое право
30. BGH, Beschluss vom 06.08.2008 - XII ZB 25/07 - BGHZ ; GmS, Beschluss vom 24.10.1983 - GmS-OGB 1/83 - BGHZ
31. BGH, Beschluss vom 24.10.2017 - X ARZ 326/17 - NJW-RR 2018, ; BGH, Beschluss vom 04.07.1988 - II ZR 334/87 NJW 1989
32. Zollner W, loritz K-G. Abreitsrecht 5. Aufl.-Munchen: C.H. beck, 1998 S
33. Arthur T. von Mehren & Donald T. Trautman, Recognition of Foreign Adjudications: A Survey and a Suggested Approach, 81 HARv. L. REV. 1601, 1676 (1968) ("It follows a fortiori that the German system does not recognize any collateral estoppels effects whatsoever.")
34. Гражданский процесс зарубежных странб Москва 2011
35. Ю,А Сериков. Презумпции в гражданском судопроизводстве.М Wolters kluwer, 2008 г
36. Mary Kay Kane, Civil Procedure In a Nutshell, Third Adition, St. Paul, Minn, 1991
37. Steven Baicker-Mckee, William M. Janssen, Jon B. Corr, A Student's guide to the Federal Rules of Civil Procedura, St. Paul, Minn, 1997
38. Code de Procedure Civilie. Centrime Edition. avec le concours de Isabelle Despres. Laurent Darget. Redacteur aux Editions Dalloz. 2009
39. Кейлин А. Д, Судоустройство и Грждaнский Процесс Капиталистических Государств, М, 1950